



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლაგოდების მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ლაგოდების მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბუნების, ისტორიისა და ყოფის ამსახველი მუზეუმი ლაგოდებში, დაარსდა 1975. მუზეუმის ფონდში ძირითადად დაცულია ისტ. პერეთისა და მიმდებარე ტერიტ-ზე არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა: ქვის, ბრინჯაოს, თიხისგან დამზადებული ნივთები – სამკაული, სამუშაო იარაღი, მონეტები; წარმოდგენილია აგრეთვე მხარის ეთნოგრ. ფოტომასალა, სულ 3668 ექსპონატი.

მუზეუმს აქვს 5 საგამოფენო დარბაზი, მათგან 2 ეთმობა არქეოლოგიას, 1 – ეთნოგრაფიას, 1 – ნუმისმატიკას, მე-5 დარბაზში პერიოდულად ეწყობა ფოტო, ინდრენვის ოსტატებისა და პროფესიონალ და მოყვარულ მხატვართა გამოფენები.

მუზეუმში დაცული არქეოლ. მასალა მოიცავს ძვ. წ. მე-4 ათასწლეულიდან გვიან ფეოდალურ ხანამდე პერიოდს. იგი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს იარაღებითა და სამკაულებით. ეს არტეფაქტები მოპოვებულია როგორც არქეოლ. გათხრებით (მსხალგორის სამონასტრო კომპლექსი, ბაისუბნის სამეურნეო ნაგებობა და ჭიაურის ენეოლითის ხანის ნამოსახლარი), ისე შემთხვევითი მონაპოვრითა და შემონირულობით. ერთი დარბაზი მთლიანად ეთმობა მსხალგორის არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებულ არტეფაქტებს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ნგ. 1IV, თბ., 2021.

---